ქრონიკა

საერთაშორისო კონფერენცია – ადამიანის უფლებები: გენეზისი, ღირებულებადობა და აწმყო

ადამიანის უფლებები თავად ადამიანის უსაკუთრივესი უფლების, მისი თავისუფლების საფუძველი და გარანტიაა. მაგრამ მეორე მხრივ, სწორედ ადამიანის თავისუფლების გაცნობიერებამ გახადა შესაძლებელი ადამიანის უფლებებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭების შესაძლებლობა. ადამიანი სხვის აღიარების პროცესში ვლინდება როგორც თავისუფალი არსება, პროცესში, რომლის ფარგლებშიც ის არა მხოლოდ თავის თავს აღიარებს თავისუფლად, არამედ სხვასაც, რომლისგანაც როგორც თავისუფალი ისე უნდა იქნას აღიარებული.

ადამიანის უფლებები შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც მორალური მოთხოვნები ან უფლებები. მორალური უფლებები მაშინ არის გაგებული უფლებებად, როდესაც ისინი ერთი ადამიანის მიერ სხვა ადამიანთან მიმართებაში ღირებული ხდებიან. მორალური ვალდებულება თანასწორი პატივისცემისა ყველა ადამიანის და მორალური უფლება თანასწორ პატივისცემაზე ყველა ადამიანის მიერ არის მორალური აღიარების ურთიერთობის ორი მხარე.

ადამიანის უფლებები, რადგან ისინი მოწოდებული არიან ცალკეული სუბიექტის ინტერესები დაიცვან, უნდა აღინიშნონ, როგორც საფუძველმდებარე სუბიექტური უფლებები. ადამიანის უფლებები იმდენად ქმნიან მათ მატარებლებს სუბიექტებად, რამდენადაც ისინი მათ ანიჭებენ უნარს, რომ თავიანთი მოთხოვნები საჯაროდ გამოხატონ და დაადასტურონ.

პოლიტიკური წესრიგის დროს, როდესაც ადამიანის უფლებები რესპექტირებულია, ადამიანებს შორის შემდგარი ნორმატიული ქმედება, რომელსაც იმავდროულად საფუძვლად მორალის ცნობიერება უდევს, იმპლიციტურად მოიცავს თავის თავში დარწმუნებას, რომ მოქმედი თავისი ქმედების შედეგის პასუხისმგებელი უნდა იყოს. ეს

პასუხისმგებლობა, როგორც მოქმედების ობიექტს, ისე თვით თავის თავს, ანუ სუბიექტს ეხება, ანუ პასუხისმგებლობა იგივე თვითპასუხისმგებლობაა. სწორედ ასეთი ქმედებები ქმნიან იმ ძირითად ნორმებს, რომლის დროსაც ადამიანისგან მოთხოვნილი და დაცული შეიძლება იყოს ადამიანის უფლებები.

ადამიანის უფლებების ირგვლივ დღესდღეობით არსებულ სხვადასხვა საკითხების შესახებ გაიმართა 2011 წლის 3-7 აპრილს საერთაშორისო კონფერენცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონფერენციის პირველი სექცია ადამიანის უფლებების გენეზისსა და ისტორიას დაეთმო. პირველ სექციაში წარმოდგენილი იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორის მერაბ ღაღანიძის მოხსენება „ადამიანის ღირსების, როგორც ადამიანის უფლების კონცეფცია სქოლასტიკასა და ეკლესიის თანამედროვე მოძღვრებაში". დასავლურქრისტიანულ მოძღვრებაში ადამიანის უფლების კონცეფცია ფილოსოფიურად ეფუძნება ადამიანის პიროვნული ღირსების კონცეფციას. ამ თვალსაზრისით, ყოველ პიროვნებას აქვს ღირსება, რომელიც ტრანსცენდენტირდება და უნდა ტრანსცენდენტირდეს საზოგადოებრივ სტრუქტურებში. თავად ადამიანის ღირსების იდეა საზრდოობს მოძღვრებით ადამიანის როგორც „ღმრთის ხატის" შესახებ.

ადამიანის ღირსების დაცვა, მომხსენებლის აზრით, განსაკუთრებით მკაფიოდაა ასახული თომა აქვინელის შრომებში, როგორც სქოლასტიკის მწვერვალში, მაგრამ, ამას გარდა, ის გაშლილია ესპანელი სქოლასტიკოსების ფრანსისკო დე ვიტორიასა და ფრანსისკო სუარესის თხზულებებში. რაც შეეხება ეკლესიის თანამედროვე მოძღვრებას, ადამიანის უფლებათა საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმში", რომელიც, როგორც კათოლიკე ეკლესიის ნორმატიული დოკუმენტი, 2004 წელს გამოქვეყნდა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კომპენდიუმის სპეციფიკურობას ადამიანის უფლებათა საკითხში განაპირობებს რამდენიმე თავისებურება: ერთი, რომ ადამიანის უფლებები უნდა იქნეს განხილული ინტეგრალურად, მთლიანობაში და რომელიმე ერთი უფლების ცალკე გამოყოფა აზრს უკარგავს ამ მთლიანობას; მეორე, მყარი პოზიცია სიცოცხლის უფლების საკითხში, რაც გამოიხატება, სანიმუშოდ, აბორტისა თუ ევთანაზიის მტკიცე მიუღებლობაში; მესამე, მსჯელობა ადამიანის არა მარტო უფლებებზე, არამედ, აგრეთვე, მოვალეობებზეც; მეოთხე, მსჯელობა არა მარტო პიროვნების, არამედ ერის უფლებების შესახებ.

ილიას სახელმწიფო უნივრსიტეტის ასისტენტ-პროფესორის თამარ ცოფურაშვილის მოხსენებაში მსჯელობა ფიხტეს ფილოსოფიაში ინტერსუბიექტურობის შესახებ წარმოდგენილ იქნა შემდეგი თეზისით, რომელსაც გერმანელი ფილოსოფოსის ნაშრომში "des Naturrechts nach Prinzipien der Wissenschaftslehre" შემდეგნაირად ვკითხულობთ: „სასრულ გონიერ არსებას არ შეუძლია მიაწეროს საკუთარ თავს თავისუფალი ზემოქმედებითობა გრძნობად სამყაროში, ისე რომ იგი სხვებსაც არ მიაწეროს, და ამით საკუთარი თავის გარდა სხვა სასრული გონიერი არსებების არსებობა არ დაუშვას."

ამ დებულების განხილვამდე პროფ. თ. ცოფურაშვილი შეეხო რამოდენიმე პრინციპულ საკითხს, რომელიც არსებითია ფიხტესთან ინტერსუბიექტურობის გასაგებად: თეორიული წანამძღვრები და თვითცნობიერების ტრანსცენდენტალური დედუქციის ცნება.

თავის პროგრამულ ნაშრომში მეცნიერების მოძღვრების ცნების შესახებ (Über den Begriff der Wissenschaftslehre, 1794) ფიხტე აყალიბებს პოზიციას, რომ მეცნიერების საფუძველი დებულებები მეცნიერების მოძღვრებაში უმაღლესი პრინციპებიდან ანუ აპრიორულად, ტრანსცენდენტალურად დედუცირებად დებულებებიდან უნდა იქნას გამოყვანილი. უკვე 1794 წელს ფიხტეს მიერ წაკითხულ მოხსენებაში „Die Bestimmung des Gelehrten" საუბარი იყო აუცილებლობაზე, რომლითაც ადამიანი იძულებულია დაინახოს იმის დაშვება, რომ „მის გარდა არსებობენ მისი მსგავსი გონიერი არსებები"(I 3, 36); მაგრამ ის, რაც ერთეულ სუბიექტს აიძულებდა ასეთ პოზიციაში განეხილა თავი, იყო არა თვითცნობიერების გამოცდილების მოთხოვნა, არამედ ზნეობრივი სწრაფვა, რომელშიც გარეგანი სინამდვილე როგორც საკუთარი გონიერების „საპირისპირო ხატი" უნდა ყოფილიყო აღებული. ამის საპირისპიროდ Grundlage des Naturrechts nach Principien der Wissenschaftslehre-ს (1796) მესამე პარაგრაფში გადმოცემული მეორე დებულება წარმოადგენს სრულიად სხვა და პრინციპულად რადიკალურ არგუმენტს. აქ ფიხტე პირველად ახდენს თავისი ადრინდელი Wissenschaftslehre-ს მონოლოგიური ჩარჩოს გარღვევას, როდესაც იგი თვითცნობიერების ტრანსცენდენტალურ შესაძლებლობას აკავშირებს სხვა სუბიექტის მიერ „მოწოდების" (Aufforderung) ინტერსუბიექტურ წინაპირობასთან: სასრულ სუბიექტს მხოლოდ მაშინ შეუძლია მიაღწიოს თავისი თავის, როგორც თავისუფალი გონიერი არსების, ცნობიერებას, როდესაც იგი „გარედან" ასეთივე გონიერი არსების მიერ იქნება თავისუფლებისთვის „მოწოდებული" (aufgefordert). აქ, ამ მოძღვრებაში „მოწოდების" შესახებ ფიხტე განიხილავს ინტერსუბიექტურობას არა როგორც აუცილებელ პროექციას, არამედ პირი-

ქით, როგორც თვითცნობიერების დიაქლეტიკური კონსტიტუციის ტრანსცენდენტალურ პირობას.

ფიხტესთვის შესაბამისად ყველა კომუნიკაციური სამეტყველო აქტი „მოწოდებას“ წარმოადგენს, რადგან მისით მეორე პერსონის მოტივირება უნდა მოხდეს, რათა მან თავისი „თავისუფალი ზემოქმედებითობის“ (Wirksamkeit) გამოყენება მოახდინოს. ამგვარად ინტერსუბიექტურობის მოდელი ღებულობს ფაქტობრივად ნორმატიულ იმპლიკაციას: ყოველი ადამიანი, რომელიც თავის საპირისპიროს (sein Gegenüber) კომუნიკაციური ფორმით მიმართავს, თავის თავს სამეტყველო აქტის განხორციელებისას ავალდებულებს, რომ მეორეს, სულ მცირე, არაიძულებითი შეპასუხების შესაძლებლობა დაუტოვოს; ხოლო იმისგან, რომელიც მიმართვის გზით ადრესატად იქცა, ველოდოთ რეაქციას, რომელიც საკუთარი გონიერების უნარის გამოყენებაში მდგომარეობს. ფიხტე უკვე შემდგომ პარაგრაფებში აჩვენებს, რომ „მიმართვის“ (Anrede) გონიერ შეპასუხებას ასევე განეკუთვნება ვალდებულების შესახებ ის მოსაზრებაც, რომ საპირისპიროს (Gegenüber) თავის მხრივ თავისუფლების სფერო უნდა დაუთმო, რომელიც მან საკუთარ თავს სამეტყველო აქტის განხორციელების გზით მიანიჭა.

კასელის უნივერსიტეტის პროფესორმა იოჰანეს ვაისმა მოხსენება „მსოფლიოს საზოგადოება როგორც REGNUM HOMINIS და ადამიანის უფლებები“ ადამიანის ცნების განხილვით დაიწყო. მე-18 საუკუნიდან მკვიდრდება ევროპაში იდეა, რომ სწრაფვის ერთადერთი ობიექტი ადამიანია, ეს არის ”აბსოლუტური ამოსავალი წერტილი”, როგორც ჰეგელი ამბობს, რომელიც დააფიქსირა ყოვლისშემძლე დრომ და კულტურამ. ამით ჰეგელისთვის ისტორია იმ წერტილს მიუახლოვდა, საიდანაც ის იწყებს მოძრაობას და განხორციელებას. ჰეგელი იშველიებს პროტაგორას სიტყვებს: ყოველი საგნის საზომი ადამიანია, იმისი რაც არის, რომ ის არის და იმისიც, რაც არ არის, რომ არ არის.

„ისტორიის გონის“ მიმდევარი აზროვნება, ჰეგელის მიხედვით, გზას სცდება ჭეშმარიტებას, რადგანაც ის ადამიანის გრძნობადობასთან თანაარსებობაში მყოფ გონებას ღმერთის აბსოლუტური გონების ადგილზე აყენებს. მაგრამ აქ ადამიანი იგულისხმება არა როგორც ”შემთხვევითი ადამიანი” თავის კერძოობაში, არამედ ეს არის საყოველთაო ადამიანური შინაარსის მქონე ადამიანი. ეს იდეა მოდის ახალი დროის ფილოსოფიიდან, კერძოდ დეკარტედან, რომელიც მოდერნული ფილოსოფიის პიონერია. თუმცა ესეც ეფემერული გამოვლინება იქნებოდა, თუ მეცნიერება მართლა არ ეცდებოდა ადამიანის ცხოვრებისეული სინამდვილე ჭეშმარიტებად ექცა. კერძოდ, არა მხოლოდ შეეცნო ადამიანის სამყარო, არამედ ადამიანის მიერ შექმნილი და

დაპყრობილი სამყარო regnum hominis-ად ექცა. რამდენადაც ადამიანმა მიაღწია იმას, რომ საკუთარი ცხოვრების წესრიგი შეეცნო -- მას უკვე ისიც შეეძლო, რომ საკუთარი თავიცა და ეს წესრიგიც სრულყოფამდე მიეყვანა.

ის, თუ როგორ წარმოდგება და ყალიბდება ადამიანის უნივერსალური უფლებების იდეა, უფრო მეტად სადაოა, ვიდრე მთელი ახალი მეცნიერება და ეკონომიკა. სამართალი მხოლოდ მაშინაა ადამიანის სამართალი, როცა ის ყველა ადამიანს მოიცავს და არც ერთი ადამიანის მიერ არაა უარყოფილი.

არსებობს არგუმენტები, რომ შეუძლებელია ადამიანის უფლებების გაერთგვაროვნება და ის ვერ გააერთიანებს და თავის თავში ვერ მოიცავს ყველა კონკრეტულ ცხოვრებისეულ ნორმას, სამყაროს წესრიგს, ტრადიციებს. ჭეშმარიტად ინდივიდუალური შეიძლება არსებობდეს და მნიშვნელობდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის შეცნობადია. ინდივიდუალური თავისუფლება არაა უპირობო, არამედ განსაზღვრულია იმით, რომ ყველა ადამიანი თანაბარი უნდა იყოს საკუთარ თავისუფლებაში. უპირობო მაშინაა ადამიანის თავისუფლება, როცა ის ყველა სხვა ადამიანს მიემართება როგორც თვითმიზანს.

კონფერენციის მეორე სექცია ადამიანის უფლებების ფუნდამენტური ცნებების განხილვას მიეძღვნა. კიოლნის პროფესორმა იოჰანეს ჰატტლერმა პირის პოლიტიკური და მეტაფიზიკურად ნეიტრალური კონცეფციაზე ისაუბრა. ადამიანის უფლებების სოციოლოგიას კი ბაიროთის პროფესორის არნოლდ ცინგერლეს მოხსენება დაეთმო.

ადამიანის უფლებების ბუნებრივ სამართალზე დაფუძნების ისტორიას ეხებოდა ფრიბურგის უნივერსიტეტის პროფესორის სიმონე ცურბურხენის მოხსენება. დასავლურ ტრადიციაში ადამიანის უფლებების დაფუძნებასთან დაკავშირებით ერთიანი შეხედულება არ არსებობს. პროფესორმა ცურბურხენმა ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიის ჩვენება დაიწყო არგუმენტით, რომელიც ადამიანის უფლებების თანამედროვე სახემწიფოსთან კავშირს გულისხმობს. ამ შეხედულების მიხედვით, ბუნებრივი სამართალი XVII-XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა და ის წარმოადგენდა სახელმწიფოსგან თავდაცვის მექანიზმს, რომელიც მიემართება ზედროულ და ზეკულტურულ ღირებულებებს. მოხსენებაში შვეიცარიელი პროფესორი ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიის რევიზიონისტული ახსნის ელემენტებსაც შეეხო. აქვე განიხილა მან ჩარლზ ბაიტცის ნაშრომი "ადამიანი უფლებების იდეა." ბუნებრივი სამართალი არ უნდა გავიგოთ, როგორც ინდივიდებს შორის არსებული სამართალი, რომელიც წინ

უსწრებს სახელმწიფო სამართალს, არამედ ის სახალხო სამართალსაც უდევს საფუძვლად.

პროფ. ს. ცურბურხენის მიერ საკონფერენციო მოხსენებაში გაანალიზებულ იქნა სამუელ პუფენდორფის ნაშრომი ბუნებრივი სამართლის თეორიის შესახებ, რომელიც რვატომეულის სახითაა გამოცემული. ბუნების სამართალი, ერთის მხრივ, ობიექტურად უკავშირდება ბუნების კანონების რიგს, რომელიც ადამიანისთვის წინასწარაა დადგენილი, როგორც მისი მოვალეობები. მეორეს მხრივ კი, ბუნების სამართალი უკავშირდება მეცნიერებას, რომელიც ამ კანონებს შეეხება. აქედან გამომდინარეობს ბუნების სამართლის ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმადაც თითოეულმა ადამიანმა, თავისი ძალებიდან გამომდინარე ხელი უნდა შეუწყოს ადამიანთა საყოველთაო სიკეთეს. საზოგადოებრიობის ეს უნივერსალური პრინციპი, რომელზეც პუფენდორფი საკუთარ თეორიას აფუძნებს, ნათელს ჰფენს ორ წესს: ადამიანი, ერთი მხრივ, საკუთარი თავის გადარჩენას უნდა ემსახურებოდეს და, მეორე მხრივ, ადამიანი, როგორც ღმერთის ქმნილება, ღმერთის ნების შემსრულებელია.

ამგვარად, ს. პუფენდორფი ბუნების სამართალს ღმერთის ნებასთან აკავშირებს. ბუნების სამართალი სამი ტიპის მოვალეობას აკისრებს ადამიანს: 1. მოვალეობას ღვთის წინაშე; 2. მოვალეობას საკუთარი თავის წინაშე; 3. მოვალეობას სხვა ადამიანის წინაშე.

ადამიანის უფლებებსა და ადამიანის მოვალეობებს შეეხო ბონის უნივერსიტეტის პროფესორის თეო კობუშის მოხსენება. პროფ. თ. კობუშმა ადამიანის უფლებების გაგების უმნიშვნელოვანესი ასპექტის – ბუნების სამართლის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. შესაბამისად, განიხილა სამუელ პუფენდორფის თეორია და აღნიშნული თეორიის შედარებითი ანალიზი წარმოგვიდგინა თომას ჰობსის მოძღვრებასთან. ბუნებითი სამართალი ერთდროულად მოიცავს მეტაფიზიკასაც და ეთიკასაც, ანუ ის არის ერთგვარი წინამორბედი პრაქტიკული ფილოსოფიისა, მორალის მეტაფიზიკისა და, ბოლოს, თავად კანტის ზნეობის მეტაფიზიკისა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ქრისტიან ვოლფის თეორია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული პუფენდორფის მოძღვრებასთან. ვოლფს entia moralia ესმის როგორც ადამიანის უფლებები და მოვალეობები, რომელიც ადამიანის ზნეობრივი არსს შეადგენს. ადამიანს, როგორც ასეთს, აქვს გარკვეული მოვალეობები, რომლებიც ყველა ადამიანისთვის ერთი და იგივეა და ასევე უფლებები, რომლებიც ყველა ადამიანზე ვრცელდება. ამით ბუნების სამართალმა თავისი ობიექტის ცხადი ფორმულირება პირველად მოგვცა: ადამიანის, როგორც ადამიანის, სამართალი და

უფლებები თანშობილი და უნივერსალური უნდა იყოს, რამდენადაც ის არაა დამოკიდებული არც ასაკზე, არც სტატუსზე და არც რაიმე სხვაზე. კანტის ზნეობრივი მეტაფიზიკა ამ ტრადიციას ეხმაურება. პიროვნება იმდენადაა ადამიანი, რამდენადაც ის საკუთარი გონებიდან გამომდინარე მოვალეობებით მოქმედებს. ამის გამო კანტი პიროვნებას „მორალურ პიროვნებასაც“ უწოდებს, რაც სხვა არაფერია, თუ არა გონიერი არსების თავისუფლება მორალური კანონების წინაშე. ვოლფის "მორალური ადამიანიდან“ კანტი "მორალურ პიროვნებაზე" გადაინაცვლებს, რომელიც უკვე თავისუფლების უნარის მქონე და იმავდროულად მოვალეობების ქონის უნარით დაჯილდოვებული არსებაა. ამიტომაცაა, რომ კანტთან არ შეიძლება ადამიანი იქცეს საშუალებად რაიმე მიზნის მისაღწევად, ის მხოლოდ თვითმიზანი შეიძლება იყოს. „ადამიანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიემართოს სხვას, როგორც საშუალებას, არამედ როგორც მხოლოდ მიზანს -- და ამაშია მისი ღირსებაც, რითაც ის ყველა სხვა არსებისაგან გამოირჩევა და მათზე უპირატესია.“ მეორე მხრივ, ამას ემატება სხვისი ღირსების აღიარების მოვალეობაც და, ამგვარად, ადამიანის ერთადერთი თანშობილი უფლება ესაა მისი პიროვნების უფლება – პიროვნებად ყოფნის უფლება. მოხსენების მეორე ნაწილში ბონის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰეგელის კომუნიკაციური თავისუფლების ცნების შესახებ ისაუბრა: "მე მხოლოდ მაშინ ვარ ჭეშმარიტად თავისუფალი, როცა სხვაც არის თავისუფალი და მე ვაღიარებ მას, როგორც თავისუფალს.“ სხვისი თავისუფლება არაა ჩემი თავისუფლების შეზღუდვა, არამედ ესაა განვითარება იმ დიდი იდეისა, რომელიც ნების მეტაფიზიკას უდევს საფუძვლად.

ადამიანის უფლებებისადმი მიძღნილი კონფერენციის მეოთხე სესია უნივერსალურობასა და ინტერკულტურალიზმს დაეთმო. სესია მაგდებურგის უნივერსიტეტის პროფესორის გეორგ ლომანის მოხსენებით – „ადამიანის უფლებების ინტერკულტურული დიმენსიები“ – დაიწყო. მოხსენების შესავალი ადამიანის უფლებების ინტერეკულტურული მნიშვნელობის განსაზღვრას დაეთმო, რამაც მოხსენებაში ისეთი ფენომენის გაშლა მოითხოვა, როგორიცაა კულტურა როგორც ღია ინტერნულად-პლურალისტური საერთო ღირებულებითი სისტემა.

პროფესორმა გეორგ ლომანმა ვრცლად მიმოიხილა ადამიანის უფლებების სამგანზომილებიანი კონცეპტი, რომელიც თავის თავში მოიცავს 1. უნივერსალურ; 2. ეგალიტარულ და 3. კატეგორიულ და ინდივიდუალურ უფლებებს. ადამიანის უფლებები დღევანდელ სამყაროში მუშაობს როგორც მორალური, სამართლიანი და ისტორიულ-პოლიტიკური პროექტი. ამავე სამყაროში ხდება ადამიანის უფლებე-

ბის ინდივიდუალიზირება (უნივერსალიზირება), რაც ლეგიტიმური უფლებების აუცილებელი წანამძღვარია. მოხსენების დასკვნით ნაწილში მაგდებურგის უნივერსიტეტის პროფესორი ადამიანის უფლებების სამართლებრივ ხასიათს შეეხო.

მაგდებურგის უნივერსიტეტიდან მოწვეულმა პროფესორმა არნდ პოლმანმა ამავე სექციაში წარმოადგინა თემა: „უნივერსალიზმი 2.0: ადამიანის უფლებების პოლიტიკური პროექტი ფილოსოფიური თვალთახედვით." თავიდან მან ისაუბრა ადამიანის უფლებების კარლ მარქსისეული გაგების კრიტიკის შესახებ, რომელიც მარქსის მიერ ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკაზეა დაფუძნებული. ამ მსჯელობიდან გამომდინარე ადამიანის უფლებები განხილულ იქნა, როგორც კონსტიტუციური უფლებები, რაც საბოლოო ჯამში იმ კონცეპტუალურ დასკვნამდე იქნა მიყვანილი, რომლის მიხედვითაც თანამედროვე პოლიტიკური სისტემა არ შეიძლება განხილულ იქნეს, თუ მას არა აქვს ადამიანის უფლებები კოდიფიცირებულ ფორმაში და არ იძლევა მოქალაქეების უფლებების გარანტიას. თანამედროვე დემოკრატიული პერსპექტივიდან არ შეიძლება აღნიშნულ იქნეს, როგორც ლეგიტიმური ძალაუფლებრივი ურთიერთობები.

თანამედროვე მოქალაქეები ნებაყოფლობით მხოლოდ იმ შემთხვევაში ემორჩილებიან პოლიტიკურ ძალაუფლებრივ სისტემას, თუ ისინი ამ სისტემით ელემენტარულ ადამიანური უფლებებით გარანტირებულნი არიან (ანუ: ადამიანისათვის ღირსეულად ცხოვრების მოწყობა თუ შეუძლიათ). მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული გაგებით ადამიანის უფლებების განხილვის საკითხში ადამიანის ღირსების ასპექტი მხოლოდ მოგვიანებით შემოდის, მაინც დაბეჯითებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის უფლებებზე ძირითადი აქცენტების დასმა ადამიანის ღირსების გარეშე შეუძლებელია.

კონფერენციის ბოლო სექცია ადამიანის უფლებების სფეროში არსებულ მიმდინარე პრობლემებს შეეხო. სექციაში წარმოდგენილი იყო ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორის დზისლავ კრასნოდებსკის მოხსენება თემაზე: „ადამიანის უფლებების უნივერსალურობა და პოლიტიკური საზოგადოების პარტიკულარულობა;" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორის გიგა ზედანიას მოხსენება „ადამიანის უფლებები მართლმადიდებელ სამყაროში" და ამავე უნივერსიტეტის პროფესორის მამუკა ბერიაშვილი მოხსენება თემაზე: „თვითპასუხისმგებლობა (პასუხისმგებლობა), როგორც ადამიანის უფლებების განმსაზღვრელი."

პროფ. გიგა ზედანიას მოხსენება ორ ნაწილად იყო გაყოფილი: პირველ ნაწილში განხილულ იქნა მართლმადიდებელი ეკლესიების

(ქართული და რუსული) დამოკიდებულება ადამიანის უფლებების მიმართ; მეორე ნაწილში კი გაანალიზებულ იქნა ამ დამოკიდებულების ფილოსოფიური დაფუძნება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სისტემატურად დამუშავებული კონცეფცია ადამიანის უფლებების შესახებ არ არსებობს. დასკვნების გაკეთება მხოლოდ ქადაგებების და სხვა გამონათქვამების საფუძველზე შეიძლება. ამ გამონათქვამების მიხედვით არსებობს ექსპლიციტური ან იმპლიციტური უარყოფა ადამიანის უფლებებისა. რაც შეეხება რუსეთის ეკლესიას, მასში ადამიანის უფლებების შესახებ კონცეფცია არსებობს, თუმცა არსებობს რამოდენიმე კონკრეტული მომენტი, რომელიც ამ ზოგად აღიარებას ეჭვის ქვეშ აყენებს. მაგალითად: ადამიანის ღირსების მორალურ ცნებად განხილვა; ადამიანის უფლებების დაპირისპირება სამშობლოს სიყვარულთან, ტრადიციულ შეხედულებებთან და სხვა.

რაც შეეხება ამ კონცეფციისა და დამოკიდებულების ფილოსოფიურ საფუძვლებს, პროფ. გ. ზედანიამ ორი მაგალითი განიხილა: 1. ადამიანის უფლებების კრიტიკა ანტიკური პოლისისა და მართლმადიდებელი ეკლესიის უწყვეტობასა და მათში დანახულ განსხვავებულ ერთობის მოდელზე აპელირებით ხორციელდება. ეს კრიტიკა ეკუთვნის თანამედროვე ბერძენ თეოლოგსა და ფილოსოფოსს ქრისტოს იანარასს. ინარასის კრიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ მისი კონცეფცია სინამდვილეში ბენჟამენ კონსტანს ეკუთვნის, რომელმაც ერთმანეთისაგან თავისუფლების ანტიკური და თანამედროვე წარმოდგენები გაარჩია. ეს განსხვავება დღევანდელ პოლიტიკურ თეორიაშიც უაღრესად რელევანტური და ცოცხალია, ამიტომაც მტკიცდება, რომ საკითხს საკმარისი ყურადღება არ ეთმობა და ის, ასე ვთქვათ, მის „ბრმა ლაქას“ წარმოადგენს, არაა მართებული. მეორე შემთხვევაში კრიტიკის ობიექტად პროფ. ზედანიამ ინდივიდუალიზმი წარმოადგინა. ეს კრიტიკა „სობორნოსტ“-ის ცნების გამოყენებით განხორციელდა. მოხსენებაში ნაჩვენებია, რომ ეს ცნება მე-19 საუკუნის 30-იანი წლების რუსეთში ჩამოყალიბდა ალექსეი ხომიაკოვის მიერ, რომელიც საკუთარ ცნებებს გერმანელ კათოლიკე თეოლოგს იოჰან ადამ მიოლერს დაესესხა. პროფ. გ. ზედანიამ მოხსენების დასასრულს აღნიშნა, რომ არანაირი კულტურულ-ცივილიზაციური შეზღუდვა არ არსებობს იმის წინასწარგანსასაზღვრად, მიიღებს თუ არა გარკვეული რელიგია და კულტურა ადამიანის უფლებებს. არგუმენტები ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მართლმადიდებელ სამყაროში ნასესხებია დასავლური სამყაროდან, სადაც ისინი არსებობდნენ და დღესაც არსებობენ

ისევე როგორც, მართმადიდებელ ქვეყნებში არსებობს მოდერნულობისა და დასავლური განვითარების მომხრე კონცეფციები.

პროფ. მ. ბერიაშვილის მოხსენება თვითპასუხისმგებლობას, როგორც ადამიანის უფლებების განსაზღვრებას შეეხო. ის რომ ადამიანის უფლებების იდეა, დღესდღეისობით საფუძველმდებარე და მთელს მსოფლიოში ქმედით პოლიტიკურ იდეას წარმოადგენს, ეს თითქოსდა უდაოა, მაგრამ ამასთანავე დღევანდელი მსოფლიოს გარკვეულ და საკმაოდ დიდ ნაწილში, ადამიანის უფლებები ან სხვაგვარადაა გაგებული, ვიდრე ამას ევროპული ტრადიცია გულისხმობს, ან ძალზე პრობლემურია ამ იდეის გატარება.

ადამიანის უფლებები, როგორც დადგენილი, მოცემულია სახელმწიფოების სხვადასხვა კანონებში, ძირითადად, კონსტიტუციებში, ხოლო უპირველესად კი ადამიანის უფლებების საყოველთაო ქარტიაში (Die Allgemeine Erklearung der Menschenrechte) და იგი ღირებულია, როგორც საფუძველი ადამიანის უფლებების პოლიტიკისა.

როგორც კანონის ფორმას ა) მას აქვს სავალდებულო ძალა ყველა ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების მქონე სახელმწიფოებში, ანუ იმ სახელმწიფოებში სადაც ადამიანი, როგორც პირი, პატივისცემას იმსახურებს; ბ) ასევე მას აქვს იურიდიული ავტორიტეტი და, შესაბამისად, იგი ვალდებულს ხდის მოქალაქეებს, რომ კანონის სახით ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს დაემორჩილონ. როგორც კანონის ფორმა, ადამიანის უფლებები განეკუთვნება სამართლის სფეროს და, შესაბამისად, როგორც სამართლის იდეა, ისე ცნება მისთვისაც იმანენტურია.

თუკი სახელმწიფო თავის იდეაში გამოდის ადამიანის უფლებების დამცველი, ეს ნიშნავას იმას, რომ იგი თავისუფლების, როგორც ასეთის, განხორციელებისა და გარანტიის სფეროა. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი როგორც zoon politikon-ი თავის არსს, თავისი ყოფნის საფუძველს ანუ თავისუფლებას სწორედ სოციალურ გაერთიანებაში ანუ სახელმწიფოში ახორციელებს და ამის დასტურად შეიძლება გავიხსენოთ არისტოტელეს სიტყვები: „ადამიანს, რომელსაც სახელმწიფოს გარეთ მარტო ცხოვრება უნდა, ან ცხოველია, ან ღმერთი." ამდენად, როგორც პოლიტიკურის წევრი, თითოეული ადამიანი საზოგადოებისაგან უნდა იყოს თანაბრად ყურადღებამიქცეული და პატივცემული, რომლის გარანტადაც ადამიანის უფლებების სამართლებრივი ფორმა გამოდის.

მაკა ლაშხია